



ქუთაისის

უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

რექტორის 26/03/2019 წ. №244 ბრძანებით

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ რექტორი

ლელა ქვლბაქიანი



შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ მედიცინის ფაკულტეტის დებულება

ქუთაისი, 2019 წელი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ქუთაისის უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტის დებულება

## მუხლი I. ზოგადი დებულებები

- 1.1 შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) არის საზოგადოების აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ძირითადი სტრუქტურული ერთეული.
- 1.2 შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებას (მის ცვლილებებს) ამტკიცებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
- 1.3 ფაკულტეტი იქმნება და უქმდება საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით, რექტორის წინადადების განხილვის საფუძველზე.
- 1.4 წინამდებარე დებულებით განსაზღვრულია ფაკულტეტის სტრუქტურა, ფუნქციები და ამოცანები.

## მუხლი II. მედიცინის ფაკულტეტის სტრუქტურა

- 2.1 ფაკულტეტი აერთიანებს უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პროფესორ მასწავლებლებს, ადმინისტრაციისა და დამხმარე თანამშრომლებს.
- 2.2 ფაკულტეტის ხელმძღვანელია დეკანი.
- 2.3 ფაკულტეტის მმართველი წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო.
- 2.4 ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებია:
  - დეკანის ოფისი;
  - 1. დეპარტამენტები:
    - საბაზისო მეცნიერებების დეპარტამენტი;
    - კლინიკური მეცნიერებების დეპარტამენტი.
- 2.5 ფაკულტეტის მუდმივმოქმედი და დროებითი კოლეგიური ორგანოებია:
  - ა) მედიცინის პროგრამის კომიტეტი;
  - ბ) საგამოცდო ნაშრომების შემფასებელი კომისიები;
  - გ) სასწავლო, პროფესიული და პედაგოგიური პრაქტიკის შემფასებელი კომისიები;

### მუხლი III. მედიცინის ფაკულტეტის ფუნქციები და ამოცანები

#### 3.1 ფაკულტეტის ფუნქციები და ამოცანებია:

- ა) სწავლება-სწავლის პროცესების ორგანიზება და ადმინისტრირება;
- ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის მინიჭება;
- გ) სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;
- დ) ფაკულტეტის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ე) პროფესორ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

### მუხლი IV. გარდამავალი დებულებები

- 4.1 ფაკულტეტის საბჭოს და დეკანის უფლებამოსილება, არჩევის და საქმიანობის წესი დადგენილია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დებულებით.
- 4.2 ფაკულტეტის მუდმივმოქმედი და დროებითი კოლეგიალური ორგანიზების უფლებამოსილება და საქმიანობის წესი დადგენილია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დებულებით.